

ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

დამატების № 375.

ხუთშაბათი, 26 იანვარი 1906 წ.

გაზეთის № 2988

მ მ ა კ ე დ ა ვ ი

გველ-ვეშაი დაჭრილია,
ისას გული გაუკარავს,
მთარეშე დღევანდელის
გმირის მუჟას გაუბარავს.

ნიაგ-ღვარი დასამარხად
აჩქარებით უთხრის ხაროს,
ქარი ღმუის და მზად არის
გოცნად მიწა მიაყაროს!..

თავით უზის კშმაკო მეფე,
მომაკვდავის სრული მონა,
ფინც საძაგელს გლეჟა-ძარცვა
ტაშის-გემით მოუწონა.

ბევრჯელ მისცა ღარიგება,
სხვა და სხვა გზა გაუჩინა,
ვერას გახდა, მაგრამ კვალად
სულ სხვა აზრმა გაურბინა.

ამოიჭრა მომაკვდავთან,
აგარჯიშებს მაცდურ ენას,
სნუგეშებს, იმედს აძლევს
და ჭიბრდება შეება-ღუნას.

გვიან-ღა, გრძნობა მახდილს
უჭირს ენის გამოცნობა,

ველარ ისნის ტარტაროზის
იპედი და შეკობრობა.

გველ-ვეშაი დაჭრილია,
ისას გული გაუკარავს,
სხვის მიაგვრელი დღევანდელის
მწარედ კენესის, მწარედ გმინავს.

ნიაგ-ღვარი დასამარხად
აჩქარებით უთხრის ხაროს,
ქარი ღმუის და მზად არის
გოცნად მიწა მიაყაროს.

სოლ. გ—ძე

დიბადა მშვენიერი ბავშვი.
სიმართლის შვილი იყო, გაკირვება აკვანს ურწევდო,
კეშმარიტებამ მონათლა, დაჩაგრულები ძუძუს აწოვებდნენ,
ჭენიოსებმა აღზარდეს.

საუცხოვო რამ კაბუკი დადგა.
ყოველის მხრით დიდებული სანახავი იყო, მაგრამ ყვე-
ლაზე უფრო შესამჩნევით ნიკი ჰქონდა.

ნიკი ორთგორისა.

მისი ხმა, მისი ლაპარაკი კი ციური რამ მუსიკა იყო.

და ისეთი ძალა ჰქონდა ამ გამომეტყველებას, რომ უმის
მომსმენელს თვით მხეცაც კი იმორჩილებდა.

ძალა მომრჯულებელი, გამაადამიანებელი.

კაბუკი დადიოდა მთა და ბარათ.



აარადის აერა ტფილისში. კენერად-გუბერნატორის განკარგულებით აარადს აპარებენ აფიდრებს.

საომარი ღრმის წესები ტვილინში.



განხრეკა ქუჩებში.

თავს თავისუფლების სივრცისკარგად გვირგვინი ედგა და ამისათვის არ ეშინოდა სიბნელისა; მისი მომხიბლავი ხმა კი წარმტაცად ეფინებოდა მთელს ცისქვეშეთს.

და აი იგი მოხვდა ერთს ტყეში.
ზამთარი იყო. მუნ დაუფს ეძინა.

უცნაურ გვირგვინის სინათლემ ძილი გაუფრთხო და გაბრაზებულმა ახლო მისულ ჰაბუკს ტორი გაარტყა.

ჰაბუკი არ წაქცეულა, მაგრამ დაშვდა კი.
დათეს სძლია თვისმა ბუნებამ და ისევ ჩაეძინა.

ჯერ ზამთარია!

ჰაბუკის დაშვებამ კი ცრემლი წასტაცა ამ ქვეყნად ყველა იმას, რაც უგონიერესია, უნიკიერესია, უწრფელესია.

მაგრამ მოუფრენია ზღაპრული ფსკერები და თვის უებარ ფრთის შეხებით იარას უმრთელებს ჰაბუკს.

შალვა დადიანი.

აღსდგა სიძულერა

(დასასრული *)


VI

აღსდგა სიძულერა

ისევ ძველებურად მიდიოდა ღმერთი და კვირები. ერთხელ ღმრთავმა გააღო პატარა ფანჯარა, რომ შეედგა პური და წყალი, მაგრამ ტუსადის გუშინდელი საუზმე ისევ ისე ხელუხლებლად დაჰხვდა ფანჯარაზე. ეს ამბავი არა ერთხელ გაგვირგებულა წინადაც; მესამედ, მეოთხედაც გაგვირგა. მაშინ კი ეახლა დარაჯი მეფე როგერის თანაშემწეს და მოახსენა ყველაფერი. მაგრამ თანაშემწემ უკრიც არ შეიბერტყა. საკმე ის არის, რომ თვითონ როგერი იწვევდა ქვეშევრდებს სულთმობრძავი და აღსარებას ეუბნებოდა მღვდელს. როგერის მესხიერება არ იყო განთქმული, და, თუ დაივიწყდა კიდევ ტუსადები, ამას იგი ცოდოდ არა სთვლიდა; ის ხომ მარტო დანაშაულებს სდევნიდა, სხვა ხომ არავის. დარაჯმა მეორედ ვეღარ გაბედა მისელო თანაშემწესთან, რადგან კარგად იცოდა, რომ ცოცხალი აღარ გადარჩებოდა წყალი და პური ისევ ისე ხელუხლებლად ელოდა ფანჯარაზე.

*) იხ. „ლაშქრობა“, № 374.

ერთხელ ყარაულმა რა-ლა დაუყვირა ტუსადს, მაგრამ მარტო ციფმა კედლებმა გასცეს პასუხი. ეს ყვირილი ტუსადს არ შესმენია. ის დიდი-ხანა გაუნძრევლად იწვა ჰქვის სკამზე და იმისი გაგანიერებული თვალები შორს სადღაც გაიქტირებოდა. აღარ ეალერსებოდა ტუსადი შვის შუქს, რომელიც ეხლა ისე ცელქად, უხვად ეკონებოდა იმის ტანჯულ შუბლს. ეხლა სატუსადო ისე მშვენიერად, ისე ტურფად იყო განათებული, რომ საწყალს ცხადლივაც არ ენახა. იგი შესცქეროდა ამ შუქს დიდრონის უსიცოცხლო თვალებით და ნეტარების ღიმილი უკრთოდა გამხდარ, გაცივითლებულ სახეზე. ღმერთმა მოიგონა თავისი მგოსანი და გიმოუგზავნა ბრწყინვალე



განხრეკა ქუჩებში.

ანგელოზი, რომელიც ეხლა მგოსნის თავთან იდგა. იმისი თეთრი ფრთები ჰფარავდა ნესტიან სვეტებს და კედლებს. ის სიბნელე, რომელიც აქამდის გამეფებულიყო სატუსადოში, ეხლა შეინძრა და მიიკუნეა კუთხეში ბრწყინვალე შუქის დანახვად. ტუსადს ეგონა, რომ ეს თვით ანგელოზის ფრთები ანათებს ხეელ სატუსადოს. კარგად იცოდა, რომ ეს ბრწყინვალე ანგელოზი, გამოგზავნილია სატუსადოს კარების გასაღებად, რომ იქ, იმ კედლის იქით, ელის თავასუფლია და ბედნიერება; საკარისიო თითი მიაფაროს ამ ჟანგიან კარებს ანგელოზმა, რომ ფიცხლოვ გაიღოს და მისცეს გზა თავისუფალ ტუსადს.

— დროა! — ეგვიდრებოდა იგი ანგელოზს, რომელიც ნახად უღიმოდა. — დროა! — უფრო მოუთმენლად იმეორებდა ტუსადი და ჰკრძნობდა, რომ თავი უხურდებოდა, გული ეღვწოდა, რაღაც ღვთიურის მოლოდინში; რომ აი, საცაა, იგი განთავისუფლდებოდა და მოშორდებოდა ამ საშინელ სატუსადოს. მალე მგოსანი ხელისხაც-კი ვეღარ ხმარობდა. მთელი „ზნეფილი“ დაუსუსტდა და სული თავისუფალი და ძრიელი, იწვედა სადღაც შორს,

VII

ორივე მართალ

ბებერი როგორი მოკვდა... იმისა ავადმყოფმა კეთილმა ცოლმა მაშინვე გააღებინა ყველა სატუსაღოს კარები, და გაიანთავისუფლა ტუსადი. გამაღარი, გაყვითლებულნი, მომაცდენი გამოდიოდნენ ტყეები. და ძლიერდებოდა ადამადნენ ფეხებს... ღარაღის ახსოვდა იმათი სახელი, თვით ტუსაღებმა კი არ იცოდნენ, რა ერქვათ. მაგრამ როცა გააღეს მგოსნის საპარობილის კარი, სადაც იგი ცოცხლი დამარხეს, დაინახეს მხოლოდ გახრწნილი გვამი. სახე კი ისევ მხიარულად უღიმოდა. ეს ღიმილი იმისთანა ნახი, იმისთანა მომხიბლავი იყო, რომ თვით მღელვება და როგორის თანაშემწემ ვერ გაუძღეს, და შერცხვენილი გაივინდნენ გარედ გულკეთილმა ქაივმა, ერთ ტაძარში დაასაფლავა ქმრის და მგოსნის გვამი. მრავალი ხალხი მოდიოდა გამოსამშვიდობებლად და პატივისსაცემლად. ყველა ძალა-უნებურად აშტერდებოდა როგორის სახეს, რომელიც დაეპრანჯა. ტურები სასოწარკვეთილებით მოჰქუპოდა. იმის გვერდით კი მგოსნის ბედნიერებით და სიბარულით სავსე სახე ნახად იღიმებოდა.

— ვინ იყო ის? — ჰკითხავდა პაწია ბიჭიკა დედას, რომელიც დედასთან ერთად მიცვალებულების პატივსაცემლად მოვიდა.

— არ ვიცი, შეილა, მაგრამ იქ კი, — აღაპყრო ზეცისკენ თვალთ, — იქ ის ლოცულობს თავის სასტიკ ბატონისთვის, რომ ღვრთმა შეუნდოს, ღმერთიც ამიტომ აპატიებს ბატონს თავის ცოდვებს. ლოცულობს აგრეთვე, შეილა, იგი საწყალი, თავის საყვარელ ერისათვის. **გვ. ბაქრაძე.**

ორი მწერალი

(დასასრული*)

დიდი — ხანი სცხოვრობდა ორივე მწერალი. ერთხელ იმ მხარეს, სადაც ისინი სცხოვრობდნენ, სიკვდილი ეწვია.

უხორცო, უკანო და უკუნთო ძვლების ჩონჩხები ფართო ზეფრით იყო დასაფარული, ზეფრის წვეტები მარცხენა ხელის ძვლებში ჩაედო, მარჯვენაში კი ბასრი ხანჯალი ეჭირა. ღია პირიდან დამალი კბილები უჩანდა, ტრეველ თავის ქალაზე აქა-იქ კანის ნაქერი დაფარული ქალბა, სიფრთხანა თმით. თვალების ბუდეებში სამარისებური მატლები შიშინებდნენ, გრთმანეთში ირგოდნენ და ზეფრის კალთებზე ვარდებოდნენ, როგორც თხრიშლის ცრემლები...

ქალაქში მივიდა, მცხოვრებნი შეჰკრიბა და გამოუცხადა მოსვლის ბიჭები ერთი წწერალი უნდა მოკვდესო.

— მე მსურს თქვენდამი მოწყალება და შებარლება გამოვიჩინო, — სთქვა სიკვდილმა ხალხის წინ, — ამიტომ თქვენ თვითონ გავალდებო, გადასწყვიტეთ, რომელი მათგანი განართოს ჩემმა ბასრმა ხანჯალმაო.

*) „ლამაზება“ № 868.

მცხოვრებნი შეეხვეწნენ, არც ერთისთვის არ ეყოლო ხელი, მაგრამ იგი შეუბრალელები იყო. სიცილით შეეკითხა მცხოვრებთ.

— რომელი უფრო გიყვართ?

— ჩვენ უფრო გიყვარს, — ამბობდნენ მცხოვრებნი.

პირველსა ძალიან გული შესტკივა ჩვენთვის.

— აბა მეორე რაღად გიყვართ? — იკითხა სიკვდილმა და ჩუმის სიცილისაგან შეინძრა.

— რატომ არ გიყვარება!... როცა იმის ნაწერებს ვკითხულობთ, თვითმოდ ჩვენთანგანს ეჩვენება, რომ ის უდრეკი თამაში და მედგარი აღამიანია, რომელზედაც სწერს, და მაშინ ყველა მეზობელი ბოროტად დასულელად გვეჩვენება; ვგრძნობთ, რომ სხვებზე მალა ვდგევართ და უფრო მეტად გვრწამს და გვჯერა, რომ ისე ვცხოვრობთ, როგორც უნდა გვეცხოვრო.

როცა სიკვდილმა გაიგონა ესა, შეინძრა და ძვლები ისე ააწყრილა, თითქმის რკინის სავარცხელი გადასათი კბილებით ქაზე.

— ერთი მათგანი უსათუოდ უნდა მოკვდეს! — სთქვა სიკვდილმა.

მცხოვრებნი ისევ შეიკრიბნენ სათათბიროდ და დაადგინეს განაჩენი.

— ჩვენ მშვიდობიანი და კეთილი აღამიანები ვართ, — ამბობდნენ ისინი, — და გვეცოდება მწერლები. მაგრამ, თუ მართლა კეთილის გულისა ხარ, სიკვდილო, შეიწყნარე ჩვენი თხოვნა: ნურც ერთი ნუ მოკვდება, მხოლოდ მეორე ქაქილად შეშალე.

— კეთილი! ასე იყოს! — სთქვა სიკვდილმა და სიცილისაგან შეინძრა და მოსცილდა იქაურობას. მალაღს სწორ ტანისას, ზეფრის წვეტებში ფეხის ძვლები ებმებოდა...

ძვლები კრიალებდნენ.

მწერალმა-კი, რომელსაც ქუჩიდან შეშლა გადაუწყვიტეს, უცხად იგრძნო, რომ რაღაც ძალამ თავის ქალას ქვეშ ტერნი გადაუბრუნა, რომ ეს ძალი ზვედან აწევებოდა... შემდეგ თითქმის თვალთ დაუხვებოდა და იმის წინ ყველგან ირიადა — აღამიანი და ცხოვრება — ბნელში ჩაინთქა...

იმ ქალაქის მცხოვრებნი კმაყოფილი იყვნენ, რომ შემთხვევა მიცათ ავადმყოფ მწერლისთვის სამაგიერო პატივიცათ, იმ მწერლისთვის, რომელიც ასე მრისხანედ და დაუხვდომელ კაცად მოიჩნდათ... თავი მოჰქონდათ, რომ ასე ინახვდნენ, უვლიდნენ და პატივს სცემდნენ მწერალს, და როდესაც ეს უკანასკნელი ქუჩებში მიდიოდა, პურის ნაჭრებს აწოდებდნენ და ბრქვეილა პატარა გროშებს აყრიდნენ თავზე.

ისინი კი, რომელნიც თვალთმაქცობითა და პირმოთენებით უწინ აქებდნენ, ახლა, როცა ყურს წაუღებდნენ შეშლილს, გრთმანეთს ეუბნებოდნენ:

— ხედავთ, რანაირია? ყოველთვის ასეთი იყო, ჩვენ ყოველთვის ასეთად მიგვანდა და სხვებსაც ეუცხნიდით — თქვენ რა სისულელეს გვასწავლიდა... **მ. კინწურაშვილი.**



კანისლეტუ და ძვლების დაჩეუება



ადვილი ძეგების ჩვენებით.

რედაქტორ-გამომცემელი ბლ. მ. ჯაბაძე